საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი
ხარისხის უზურნველყოფის სამსახური

სტუდენტთა ქულობრივი შეფასების კომპონენტები, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების კრიტერიუმები

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე
#10, 29.05.2026

სარჩევი

I. ქულობრივი შეფასების კომპონენტები, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი
და შეფასების კრიტერიუმები **თეორიული კურსებისთვის** ---------- გვ.2.

II **დრამის ფაკულტეტი** - ქულობრივი შეფასების კომპონენტები, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების კრიტერიუმები საშემსრულებლო-შემოქმედებითი კურსებისთვის - გვ.10.

III **კინოტელე ფაკულტეტი** - ქულობრივი შეფასების კომპონენტები და
მინიმალური კომპეტენციის ზღვარი საშემსრულებლო-შემოქმედებითი კურსებისთვის -გვ.14.

I. ქულობრივი შეფასების კომპონენტები, მინიმალური კომპეტენციის ზღვრი და შეფასების კრიტერიუმები თეორიული კურსებისთვის

1.1. სქემა - შეფასების კომპონენტები და მინიმალური კომპეტენციის ზღვრი თეორიული კურსებისთვის

სემესტრული 70 ქ. , - ფინალური გამოცდა 30 ქ. , აქტივობა - 30, შუალედური - 15.
შუალედური შეფასებების ზღვარი - 40% , ფინალური გამოცდის შეფასების ზღვარი - 50%

№	შეფასების კომპონენტი	მაქსიმალური ქულა	მინიმალური ზღვარი
1	ჩართულობა/აქტივობა	30[1] (2 ქ. X 15 აქტ.)	**არანაკლებ 12 ქულისა**
2	დავალებები (თეორიული კურსები)	25 (5 ქ. X5დ.)	**არანაკლებ 10 ქულისა**
3	შუალედური გამოცდა	15	**არანაკლებ 6 ქულისა**
4	**შუალედური შეფასების ჯამი**	**70**	**არანაკლებ 28 ქულისა**
5	დასკვნითი გამოცდა	30	**არანაკლებ 15 ქულისა**
	საბოლოო შეფასება	**100**	**არანაკლებ 51 ქულისა**

[1] **შეფასების 15 გრაფა, თითო 2 ქულიანი შეფასება.**

2. შეფასების სისტემა და შეფასების კრიტერიუმები თეორიული კურსებისთვის

სასწავლო კურსი გავლილად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი ჩართული იქნება სემესტრულ სასწავლო აქტივობებში და წარმატებულად ჩააბარებს, როგორც შუალედურ, ისე ფინალურ გამოცდას. ორივე სახის გამოცდის (შუალედური, ფინალური/დასკვნითი) გამოცდის ჩაბარება აუცილებელია. შუალედური შეფასების თითოეული კომპონენტის (ჩართულობა, დავალებები, შუალედური გამოცდა) მინიმალური ზღვარის გადალახვა აუცილებელია ფინალურ გამოცდაზე დასაშვებად. ფინალურ გამოცდაზე არ დაიშვება ის სტუდენტი, რომელსაც შუალედური შეფასების მიხედვით (ჩართულობა, დავალებები, შუალედური გამოცდა), მთლიანობაში არ აქვს მინიმუმ **28 - ქულა.** ქულათა პროცენტული გადანაწილება შემდეგია: **შუალედური შეფასება - 70%, ფინალურ გამოცდა - 30%.**

ფინალური გამოცდის დადებით შედეგად ჩაითვლება სტუდენტის მიერ მიღებულ ქულათა რაოდენობა, რომელიც შეადგენს შეფასებისთვის განსაზღვრულ ქულათა მაქსიმალური რაოდენობის მინიმუმ 50%-ს (რაც უდრის არანაკლებ **15 ქულას).**

სტუდენტების ცოდნის შეფასებისათვის გამოიყენება როგორც ზეპირი, ასევე წერითი გამოკითხვის სხვადასხვა მეთოდები (ტესტი, დასწავლილი მასალის თხრობა, რეფერატი/საკურსო, განხილვაში მონაწილება და ა. შ.). პედაგოგი ლექციაზე წინასწარ აცნობებს სტუდენტებს ყოველი გამოკითხვის მეთოდს.

სტუდენტი ფასდება (შუალედურიი და ფინალური გამოცდები, დავალებები, ჯგუფში მუშაობა და ა.შ.) შემდეგი ძირითადი **კრიტერიუმებით**:

- მასალის გადმოცემა გამართული ქართულით, ლოგიკურად, დასკვნებით (ქულათა საერთო რაოდენობის 20%).
- მასალის ცოდნის სიღრმე, პროფესიული ტერმინოლოგიის ფლობა (ქულათა საერთო რაოდენობის 40%)
- სავალდებულო ლიტერატურის ათვისება და მასალის ანალიტიკური გააზრება (ქულათა საერთო რაოდენობის 40%)

რეფერატი/საკურსო - კვლევითი ხასიათის მოკლე წერითი ნაშრომი, რომლიც შეიძლება მომზადდეს ინდივიდუალურად ან სტუდენტების ჯგუფის მიერ. მუშაობის ძირითადი დანიშნულებაა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით დამატებითი მასალის მოძიება, მცირე კვლევის ჩატარება და მოცემულ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი ხედვისა და დასკვნების ჩამოყალიბება.

რეფერატი/საკურსო ფასდება ორ ეტაპად: შინაარსობრივი მხარე (ქულათა საერთო რაოდენობის 60%) და პრეზენტაცია (ქულათა საერთო რაოდენობის 40%).

<u>შინაარსობრივი მხარე ფასდება</u> ზემოთ მოცემული კრიტერიუმების მიხედვით.

<u>პრეზენტაცია ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:</u> მოწოდებული მასალის ვიზუალური მხარე, პრეზენტატორის მეტყველების ლოგიკურობა, დამაჯერებლობა და დისკუსიის უნარი.

2.1. შეფასების კომპონენტი „ჩართულობა/აქტივობა“ თეორიული კურსებისთვის (მაქს. 30 ქულა)

ჩართულობა მოიცავს სტუდენტის აქტივობას სასწავლო პროცესის სხვადასხვა ფორმატში სემინარზე, ჯგუფში მუშაობისას, მათ შორის:

- თემატურ დისკუსიებში მონაწილეობას;
- მცირე მოცულობის დავალების შესრულებას ადგილზე და მის განხილვაში მონაწილეობას;
- კითხვების დასმასა და არგუმენტირებული პასუხების გაცემას;
- კურსის მასალაზე დაფუძნებულ მსჯელობას.

სასწავლო შეხვედრების ფორმატი შეიძლება განსხვავდებოდეს (მაგ., ერთ შეხვედრაზე — დავალების განხილვა, მომდევნოზე — თემატური დისკუსია და სხვ.), შესაბამისად, შეფასება ეფუძნება სტუდენტის აქტიურ და შინაარსობრივ ჩართულობას კონკრეტული ფორმატის შესაბამისად.

აქტივობა ფასდება არა მხოლოდ რაოდენობრივი, არამედ შინაარსობრივი ჩართულობის მიხედვით და ითვალისწინებს სტუდენტის ადაპტირების უნარს სხვადასხვა სასწავლო ფორმატში.

შეფასების კრიტერიუმები:

2 ქულა — მაღალი ჩართულობა:
ავლენს სტაბილურად მაღალ აქტივობას სხვადასხვა ფორმატში; ავითარებს დისკუსიას და ამყარებს არგუმენტებს; წარმოაჩენს დამოუკიდებელ და კრიტიკულ აზროვნებას; ეფექტურად წარმოადგენს დავალებებს.

1.5 ქულა — კარგი ჩართულობა:
აქტიურად მონაწილეობს როგორც დისკუსიაში, ისე დავალების განხილვაში; პასუხები არის გააზრებული და არგუმენტირებული; ადაპტირდება სხვადასხვა ფორმატს.

1 ქულა — საშუალო ჩართულობა:
მონაწილეობს, მაგრამ არასტაბილურად; პასუხები ზოგადად სწორია, თუმცა ზედაპირული; ფორმატის შესაბამისად ასრულებს მინიმალურ მოთხოვნებს.

0.5 ქულა — მინიმალური ჩართულობა:
ფორმატის მიუხედავად, მონაწილეობა არის სუსტი ან ფორმალური; არ ერთვება დისკუსიაში ან ვერ წარმოადგენს დავალებას; პასუხები ფრაგმენტულია.

0 ქულა — ჩართულობა არ ფიქსირდება:
სტუდენტი არ მონაწილეობს სასწავლო პროცესში და არ ასრულებს კომპონენტით გათვალისწინებულ აქტივობებს.

2.2. შეფასების კომპონენტი - დავალებები თეორიული კურსებისთვის (მაქს. 25 ქულა)

შეფასების კომპონენტი „დავალებები“ მოიცავს მოიცავს „ჩართულობის“ კომპონენტზე უფრო სრულყოფილ და დამოუკიდებელ აკადემიურ სამუშაოებს. ეს არის:

- **ზეპირი და წერითი დავალებები** (მასალის დასწავლა და თხრობით წარმოდგენა- პრეზენტაციები, ანალიზი, რეფერატები და ა.შ.);
- ზოგიერთი კურსის ფარგლებში კომპონენტი „დავალებები“ მოიცავს აგრეთვე, კი წერით დავალებას კვლევითი ელემენტებით - **საკურსოს.**

2.2.1. ზეპირი და წერითი დავალებების შეფასების კრიტერიუმები

5 ქულა - სტუდენტი დავალებებს წარმოადგენს განსაზღვრულ ვადებში და სისტემატურად, ზედმიწევნით კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ შესაბამის მასალას, ტერმინოლოგიას, ჯგუფში მუშაობის დროს ჩართულობის ხარისხი მაღალია; ამჟღავნებს სავალდებულო ლიტერატურის ათვისებას, ანალიტიკურ გააზრებას. მასალას გადმოსცემს გამართული ქართულით, ლოგიკურად, დასკვნებით.

4,5 ქულა - სტუდენტი დავალებებს წარმოადგენს განსაზღვრულ ვადებში და სისტემატურად, ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ შესაბამის მასალას და ტერმინოლოგიას, აქვს უმნიშვნელო ხარვეზები, არსებითი შეცდომების გარეშე. ჯგუფში მუშაობის დროს ჩართულობის ხარისხი მაღალია; ამჟღავნებს სავალდებულო ლიტერატურის ათვისებას, კარგად გააზრებას. მასალას გადმოსცემს გამართული ქართულით, ლოგიკურად, დასკვნებით.

4 ქულა - სტუდენტი დავალებებს წარმოადგენს განსაზღვრულ ვადებში, ათვისებული აქვს პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი მასალა მცირეოდენი ხარვეზებით, არსებითი შეცდომების გარეშე, ტერმინოლოგიაში უშვებს მცირე უზუსტობებს. ყოველთვის მონაწილეობს ჯგუფში მუშაობის დროს, ამჟღავნებს სავალდებულო ლიტერატურის ათვისებას, გააზრებას. მასალას გადმოსცემს გამართული ქართულით.
3,5 ქულა - სტუდენტი დავალებებს წარმოადგენს განსაზღვრულ ვადებში, ათვისებული აქვს პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი მასალა ხარვეზებით, არსებითი შეცდომების გარეშე, ტერმინები ძირითადად გამართულია, თუმცა, ზოგჯერ არაზუსტი. ამჟღავნებს სავალდებულო ლიტერატურის ათვისებას. ყოველთვის მონაწილეობს ჯგუფში მუშაობის დროს, არის აქტიური, თანამშრომლობს სხვებთან.

3 ქულა - სტუდენტი დავალებებს წარმოადგენს განსაზღვრულ ვადებში, ათვისებული აქვს პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი მასალა ხარვეზებით, უშვებს ზოგჯერ არსებით შეცდომებს. ამჟღავნებს სავალდებულო ლიტერატურის გაცნობას, ტერმინებში აქვს უზუსტობები. ზოგჯერ არ მონაწილეობს ჯგუფში მუშაობის დროს, არის ნაკლებად აქტიური.

2,5 ქულა - სტუდენტი დავალებებს წარმოადგენს განსაზღვრულ ვადებში, ათვისებული აქვს პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი მასალა მნიშვნელოვანი ხარვეზებით, ხშირად უშვებს არსებით შეცდომებს. ტერმინებს იშვიათად მოიხმობს. ზოგჯერ არ მონაწილეობს ჯგუფში მუშაობის დროს, არის ნაკლებად აქტიური.

2 ქულა - სტუდენტი დავალებებს წარმოადგენს განსაზღვრულ ვადებში, ასრულებს დავალების არანაკლებ ნახევარს. ტერმინებს თითქმის არ იყენებს. ჯგუფში მუშაობის დროს ჩართულია, ნაკლებად აქტიურობს.

1,5 ქულა - სტუდენტი დავალებებს წარმოადგენს განსაზღვრულ ვადებში, ასრულებს დავალებებს ნაწილობრივ. ტერმინებს არ იყენებს. ჯგუფში მუშაობის დროს ჩართულობის ხარისხი დაბალია, ნაკლებად აქტიურობს.

1 ქულა - სტუდენტი დავალებებს ვერ წარმოადგენს განსაზღვრულ ვადებში, ამჟღავნებს დავალების ნაწილობრივ, ზედაპირულ ცოდნას რამდენიმე არსებითი შეცდომით, ჯგუფში მუშაობის დროს ჩართულობის ხარისხი ძალიან დაბალია.

0 ქულა - სტუდენტი aრ წარმოადგენს დავლებებს საერთოდ არ ჩართულა ჯგუფში მუშაობის დროს. ძირითადად შემოიფარგლება დაკვირვებით.

2. 2. 2. საკურსო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები

შეფასების კომპონენტი „დავალებები“ შეიძლება მოიცავდეს საკურსო ნაშრომის შესრულებას. იმ სასწავლო კურსებში, რომლებიც ითვალისწინებს დავალების სახით საკურსო ნაშრომს, აღნიშნული კომპონენტი ფასდება ორი ეტაპით — შინაარსობრივი ნაწილი და პრეზენტაცია — ჯამში 10 ქულა.
ამ შემთხვევაში რიგითი დავალებების რაოდენობა განისაზღვრება სამი დავალებით, თითოეული 5 ქულით (5+5+5), ჯამში — 15 ქულა.

საკურსო ნაშრომი - საკურსო ნაშრომი წარმოადგენს მცირე, კვლევითი ხასიათის წერით ნაშრომს, რომელიც შეიძლება მომზადდეს ინდივიდუალურად ან სტუდენტთა ჯგუფის მიერ.
საკურსო ნაშრომის **მიზანია**: შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით დამატებითი მასალის მოძიება, მცირე კვლევის ჩატარება, საკითხის ანალიტიკური გააზრება, საკუთარი მოსაზრებებისა და დასკვნების ჩამოყალიბება.

საკურსო ნაშრომი ფასდება ორ ეტაპად:

შინაარსობრივი ნაწილი — მაქსიმუმ ქულათა საერთო რაოდენობის 60% - **6 ქულა**
პრეზენტაცია — მაქსიმუმ ქულათა საერთო რაოდენობის 40% - **4 ქულა.**

1. საკურსო ნაშრომის შინაარსობრივი ნაწილის შეფასების კრიტერიუმები (მაქსიმალური შეფასება — 6 ქულა):

5–6 ქულა:
ნაშრომი ავლენს საკითხის სიღრმისეულ ცოდნასა და პროფესიული ტერმინოლოგიის გამართულ ფლობას. სტუდენტი ეფექტურად იყენებს სავალდებულო და დამატებით ლიტერატურას, ამჟღავნებს მასალის ანალიტიკური გააზრებისა და დამოუკიდებელი მსჯელობის უნარს. ტექსტი გამართულია აკადემიური წერის თვალსაზრისით, ლოგიკურად სტრუქტურირებული და დასკვნები მკაფიოდ ფორმულირებულია.

3–4 ქულა:
ნაშრომი ავლენს პროგრამით გათვალისწინებული მასალის ცოდნას, თუმცა შეინიშნება ცალკეული ხარვეზები. პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენება ძირითადად სწორია, თუმცა ზოგჯერ არაზუსტი. სტუდენტი იყენებს სავალდებულო ლიტერატურას და ნაწილობრივ ავლენს მასალის ანალიტიკური გააზრების უნარს. ტექსტი ძირითადად გამართულია, თუმცა აღინიშნება სტრუქტურული ან ლოგიკური ნაკლოვანებები.

1–2 ქულა:
ნაშრომი ავლენს საკითხის ზედაპირულ ცოდნას. პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენება სუსტია ან არაზუსტი. სავალდებულო ლიტერატურა გამოყენებულია არასრულად ან ფორმალურად. ანალიზისა და დამოუკიდებელი მსჯელობის ხარისხი დაბალია. ტექსტი არათანმიმდევრულია, დასკვნები — არასაკმარისად ჩამოყალიბებული.

0 ქულა:
ნაშრომი არ შეესაბამება აკადემიური დავალების მინიმალურ მოთხოვნებს ან არ არის წარმოდგენილი.

2. საკურსო ნაშრომის პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები (მაქსიმალური შეფასება — 4 ქულა):

4 ქულა:
პრეზენტაცია სტრუქტურულად და ვიზუალურად გამართულია. სტუდენტი მასალას გადმოსცემს მკაფიოდ, ლოგიკურად და დამაჯერებლად, ფლობს აკადემიური მეტყველების კულტურას და ეფექტურად ერთვება დისკუსიაში.

3 ქულა:
პრეზენტაცია ძირითადად გამართულია, თუმცა აღინიშნება ცალკეული ხარვეზები ვიზუალურ ან სტრუქტურულ მხარეში. მასალის გადმოცემა მეტწილად ლოგიკურია. სტუდენტი პასუხობს შეკითხვებს, თუმცა მსჯელობა ყოველთვის არ არის საკმარისად არგუმენტირებული.

1–2 ქულა:
პრეზენტაცია ნაკლოვანია როგორც ვიზუალური, ისე შინაარსობრივი თვალსაზრისით. მასალის გადმოცემა არათანმიმდევრულია, მეტყველება — ნაკლებად გამართული. სტუდენტი სუსტად ერთვება დისკუსიაში და უჭირს კითხვებზე პასუხის გაცემა.

0 ქულა:
პრეზენტაცია არ ჩატარებულა.

3. შუალედური გამოცდა - შეფასების კრიტერიუმები თეორიული კურსებისთვის (მაქს. 15 ქულა)

შუალედური გამოცდის შეფასების კრიტერიუმებია:

14–15 ქულა:
სტუდენტი საკითხს ფლობს სიღრმისეულად, გადმოსცემს თანმიმდევრულად და ლაკონურად. ტერმინოლოგია გამართულია. ჩანს ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის საფუძვლიანი ფლობა და გამოყენების უნარი.

12–13 ქულა:
პასუხი სრულია, თუმცა ნაწილობრივ არათანმიმდევრული. ტერმინოლოგია ძირითადად გამართულია. სტუდენტი კარგად ფლობს საკითხს, არსებითი შეცდომები არ ფიქსირდება. ჩანს ძირითადი ლიტერატურის ცოდნა.

10–11 ქულა:
პასუხი აჩვენებს, რომ სტუდენტს ათვისებული აქვს პროგრამით გათვალისწინებული მასალა და გადმოსცემს მას არსებითი შეცდომების გარეშე, თუმცა აღინიშნება ცალკეული ხარვეზები და მცირე უზუსტობები. იცნობს ძირითად ლიტერატურას.

7–9 ქულა:
პასუხი ავლენს საკითხის საშუალო დონის ცოდნას. პასუხი ბოლომდე სრულყოფილი არ არის, აღინიშნება მცირედი შეცდომები. ტერმინოლოგიის გამოყენება ნაწილობრივ არაზუსტია, გადმოცემა — არათანმიმდევრული.

4–6 ქულა:
პასუხი ავლენს საკითხში ნაწილობრივ გარკვევას, თუმცა ნაკლოვანია. ფიქსირდება შეცდომები, გადმოცემა არათანმიმდევრულია. ტერმინოლოგიის გამოყენება სუსტია.

0–3 ქულა:
არადამაკმაყოფილებელი პასუხი. სტუდენტი ვერ ფლობს შესაბამის ტერმინოლოგიას, პასუხი არსებითად მცდარია. გადმოსცემს საკითხის მხოლოდ ცალკეულ ფრაგმენტებს და არ იცნობს ძირითად ლიტერატურას.

4. დასკვნითი გამოცდა - შეფასების კრიტერიუმები თეორიული კურსებისთვის (30 ქულა)

დასკვნითი გამოცდის შეფასების კრიტერიუმებია:

27–30 ქულა:
სტუდენტი მასალას ფლობს სიღრმისეულად, გადმოსცემს თანმიმდევრულად და ლაკონურად. ტერმინოლოგია გამართულია. ჩანს ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის საფუძვლიანი ფლობა და გამოყენების უნარი.

23–26 ქულა:

პასუხი სრულია, თუმცა ნაწილობრივ არათანმიმდევრული. ტერმინოლოგია ძირითადად გამართულია. სტუდენტი კარგად ფლობს საკითხს, არსებითი შეცდომები არ ფიქსირდება. ჩანს ძირითადი ლიტერატურის ცოდნა.

19–22 ქულა:
პასუხი აჩვენებს, რომ სტუდენტს ათვისებული აქვს პროგრამით გათვალისწინებული მასალა და გადმოსცემს მას არსებითი შეცდომების გარეშე, თუმცა აღინიშნება ცალკეული ხარვეზები და მცირე უზუსტობები. იცნობს ძირითად ლიტერატურას.

15–18 ქულა:
პასუხი ავლენს საკითხის საშუალო დონის ცოდნას. პასუხი ბოლომდე სრული არ არის, აღინიშნება მცირედი შეცდომები. ტერმინოლოგიის გამოყენება ნაწილობრივ არაზუსტია, გადმოცემა — არათანმიმდევრული.

7–14 ქულა:
პასუხი ავლენს საკითხში ზოგად გარკვევას, თუმცა ნაკლოვანია. ფიქსირდება შეცდომები, გადმოცემა არათანმიმდევრულია. ტერმინოლოგიის გამოყენება არაზუსტია.

0–6 ქულა:
არადამაკმაყოფილებელი პასუხი. სტუდენტი ვერ ფლობს შესაბამის ტერმინოლოგიას, პასუხი არსებითად მცდარია. გადმოსცემს საკითხის მხოლოდ ცალკეულ ფრაგმენტებს და არ იცნობს ძირითად ლიტერატურას; ან სტუდენტი ვერ პასუხობს საგამოცდო საკითხებზე.

II დრამის ფაკულტეტი - ქულობრივი შეფასების კომპონენტები, მინიმალური კომპეტენციის ზღვრი და შეფასების კრიტერიუმები საშემსრულებლო-შემოქმედებითი კურსებისთვის

2.1. შეფასების კომპონენტებისა და მინიმალური კომპეტენციის ზღვარი- სქემა დრამის ფაკულტეტის საშემსრულებლო-შემოქმედებითი კურსებისთვის

სასწავლო კურსი გავლილად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი ჩართული იქნება სემესტრულ სასწავლო აქტივობებში და წარმატებულად ჩააბარებს, როგორც შუალედურ, ისე ფინალურ გამოცდას. ორივე სახის გამოცდის (შუალედური, ფინალური/დასკვნითი) ჩაბარება აუცილებელია.

აღნიშნული მოდელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელოვნებო/საშემსრულებლო მიმართულებისთვის, სადაც პრაქტიკული მუშაობა მაღალი წილით არის წარმოდგენილი.

შესაბამისად სტუდენტი ფასდება არა მხოლოდ საბოლოო შედეგით, არამედ მიმდინარე სასწავლო პროცესში აქტიური ჩართულობით.

სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომისა და სწავლის შედეგების შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს:

№	შეფასების კომპონენტი	მაქსიმალური ქულა	მინიმალური ზღვარი არანაკლებ
I.	ჩართულობა	30	**15 ქულისა**
II.	შემოქმედებითი აქტივობა	30	**15 ქულისა**
III.	შუალედური გამოცდა	10	**5 ქულისა**
IV.	**შუალედური შეფასების ჯამი**	**70**	**35 ქულისა**
V.	დასკვნითი გამოცდა	30	**16 ქულისა**
	საბოლოო შეფასება	**100**	**51 ქულისა**

2.2. ჩართულობა - შეფასების კრიტერიუმები
(მაქსიმუმ 30 ქულა)

სტუდენტის ჩართულობა ფასდება სასწავლო პროცესში მისი სისტემატური მონაწილეობის ხარისხის მიხედვით. შეფასება მოიცავს სალექციო და პრაქტიკულ შეხვედრებზე დასწრებას, სასწავლო დისკუსიებში მონაწილეობას, დავალებების შესრულების პროცესში აქტიურობას, სარეპეტიციო სამუშაოში ჩართულობასა და სასწავლო პროცესში შემოქმედებითი ინიციატივის გამოვლენას.
შეფასება ხორციელდება სალექციო პროცესში სტუდენტის კვირეული მონაწილეობის შედეგად, თითოეულ შეხვედრაზე მაქსიმუმ 2 ქულით, სულ 15 კვირის განმავლობაში.

შეფასების რუბრიკა

- **0 ქულა** — სტუდენტი არ მონაწილეობს სასწავლო პროცესში ან არ ასრულებს მინიმალურ მოთხოვნებს;
- **1 ქულა** — სტუდენტი ნაწილობრივ არის ჩართული სასწავლო პროცესში; მონაწილეობა არის არასტაბილური ან არასრული;
- **2 ქულა** — სტუდენტი აქტიურად და სრულყოფილად მონაწილეობს სასწავლო პროცესში, ავლენს პასუხისმგებლობას, ასრულებს დავალებას, მონაწილეობს დისკუსიაში/პრაქტიკულ სამუშაოში და სასწავლო აქტივობებში.

2.3. შემოქმედებითი აქტივობა - შეფასების კრიტერიუმები
(მაქსიმუმ 30 ქულა)

შემოქმედებითი აქტივობა ფასდება სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის ფარგლებში შესრულებული შემოქმედებითი ან პრაქტიკული დავალებების ხარისხის, როგორც ლექციის მიმდინარეობისას, ასევე დავალების დამოუკიდებლად შესრულებისას. შეფასებას იღებს სტუდენტი დავალებისადმი გამოვლენილი პროფესიული მიდგომისა და დავალების შინაარსობრივად გააზრებული შესრულების მიხედვით.
შეფასება ხორციელდება კვირეულად, თითოეულ შეხვედრაზე მაქსიმუმ 2 ქულით, სულ 15 კვირის განმავლობაში.

შეფასების რუბრიკა

0 ქულა - სტუდენტი არ ასრულებს შემოქმედებით დავალებას ან წარმოდგენილი მასალა არ შეესაბამება დავალების მოთხოვნებს
1 ქულა - დავალება შესრულებულია ნაწილობრივ; ჩანს მცდელობა, მაგრამ არასრულია შემოქმედებითი გადაწყვეტა, ინტერპრეტაცია ან პრაქტიკული განხორციელება
2 ქულა - დავალება სრულად და შემოქმედებითად არის შესრულებული; ჩანს პროფესიული მიდგომა და აქტიური შემოქმედებითი მონაწილეობა

შეფასების სისტემაში ქულების განაწილების ცხრილი ასე გამოიყურება:

№	შუალედური გამოცდა ქულა	დასკვნითი შეფასება/გამოცდა ქულა	შეფასება
1	10	28–30	ფრიადი
2	8-9	25–27	ძალიან კარგი
3	7	21–24	კარგი

№	შუალედური გამოცდა ქულა	დასკვნითი შეფასება/გამოცდა ქულა	შეფასება
4	5-6	15–20	დამაკმაყოფილებელი
5	0-4	0–14	არადამაკმაყოფილებელი

2.4. შუალედური გამოცდა - შეფასების კრიტერიუმები

შეფასების ფორმა - შუალედური გამოცდა
შეფასების კომპონენტი - რა უნდა წარმოადგინოს სტუდენტმა შუალედურ გამოცდაზე
შეფასების მეთოდი -წარმოდგენა/დემონსტრირება და მასში მონაწილეობა, თეორიული/ან და შემოქმედებითი მცირე ფორმის ნაშრომის/ნამუშევრის პრეზენტაცია; ტესტირება და ა.შ.

შეფასების კრიტერიუმები:

0	ნამუშევარი არ არის წარმოდგენილი / არ გამოცხადდა
1-4	---------- არასრულია. შესრულების ხარისხი დაბალი.
5-6	---------- დასახვეწია შესრულების ხარისხი
7	დამაკმაყოფილებელია, მაგრამ დასახვეწია ----------
8-9	---------- შესრულების ხარისხი მაღალია.
10	---------- სრულად შეესაბამება მოთხოვნებს.

2.3. დასკვნითი გამოცდა - შეფასების კრიტერიუმები

შეფასების ფორმა - დასკვნითი შეფასება/გამოცდა
შეფასების კომპონენტი - რა უნდა წარმოადგინოს სტუდენტმა ფინალურ გამოცდაზე, რას უფასებთ? - მაგ: ტექსტის ან სცენური მასალის გააზრება, შემოქმედებითი ამოცანა, დისკუსიაში ჩართულობა და ა.შ
შეფასების მეთოდი - **ანუ რა მეთოდს იყენებთ შეფასებისთვის, როგორ აფასებთ?**
- მოკლე წერითი კითხვები / ესე
- მცირე სცენური ამოცანა
- პროექტის ან ვიდეო/აუდიო ჩანაწერის განხილვა
- ტესტირება

შეფასების კრიტერიუმები:

0	ნამუშევარი არ არის წარმოდგენილი

1-14	სტუდენტი ვერ ასრულებს პედაგოგის მიერ მიცემულ დავალებას. ----------
15-20	სტუდენტი მეტნაკლებად ასრულებს პედაგოგის მიერ მიცემულ დავალებას. ----------
21-24	სტუდენტი ძირითადად ასრულებს პედაგოგის მიერ მიცემულ დავალებას, ----------
25-27	სტუდენტი სწორად ასრულებს პედაგოგის მიერ მიცემულ დავალებას ----------
28-30	სტუდენტი სრულყოფილად ასრულებს პედაგოგის მიერ მიცემულ დავალებას ----------

შეფასების სისტემით დაშვებული ჯამური ქულების სქემა

ქულები	საბოლოო სემესტრული შეფასება	
A	91-100	ფრიადი
B	81-90	ძალიან კარგი
C	71-80	კარგი
D	61-70	დამაკმაყოფილებელი
E	51-60	საკმარისი
FX	41-50	,,ვერ ჩააბარა", სტუდენტს ეძლევა მოცემულ დისციპლინაში საბოლოო გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება
F	0-40	,,ჩაიჭრა", სტუდენტმა კრედიტის მისაღებად თავიდან უნდა გაიაროს მოცემული დისციპლინის კურსი

III კინოტელე ფაკულტეტი - ქულობრივი შეფასების კომპონენტები, მინიმალური კომპეტენციის ზღვრი და შეფასების კრიტერიუმები საშემსრულებლო-შემოქმედებითი კურსებისთვის

3.1. ქულობრივი შეფასების კომპონენტებისა და მინიმალური კომპეტენციის ზღვრის სქემა

#	შეფასების კომპონენტი	მაქსიმალური ქულა	მინიმალური ზღვარი
1	შემოქმედებითი/სალექციო აქტივობა	**30**	არანაკლებ 15 ქულისა
2	დამოუკიდებელი მუშაობა	**25**	არანაკლებ 13 ქულისა
3	შუალედური გამოცდა	**15**	არანაკლებ 7 ქულისა
4	**შუალედური შეფასების ჯამი**	**70**	**არანაკლებ 35 ქულისა**
5	დასკვნითი გამოცდა	30	არანაკლებ 16 ქულისა
6	**საბოლოო შეფასება**	**100**	**არანაკლებ 51 ქულისა**

სასწავლო კურსი გავლილად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი ჩაერთვება სემესტრულ სასწავლო აქტივობებში და წარმატებით ჩააბარებს როგორც შუალედურ, ისე ფინალურ გამოცდებს. ორივე გამოცდის ჩაბარება სავალდებულოა. სპეციალობის ძირითად (მაპროფილებელ) საგანში ფინალური გამოცდის ორჯერ, ხოლო სხვა ძირითად საგნებში სამჯერ დაუძლევლობის შემთხვევაში, სტუდენტი დაექვემდებარება სტატუსის შეწყვეტას.
ფინალურ გამოცდაზე არ დაიშვება სტუდენტი, რომელსაც შუალედური შეფასების კომპონენტებში (შემოქმედებითი/სალექციო აქტივობა, დამოუკიდებელი მუშაობა, შუასემესტრული გამოცდა) ჯამურად არ ექნება დაგროვებული მინიმუმ 35 ქულა.
ქულათა პროცენტული გადანაწილება
შუალედური შეფასება — 70%
ფინალური გამოცდა — 30%

ფინალური გამოცდის დადებით შედეგად ჩაითვლება სტუდენტის მიერ მიღებული ქულა, რომელიც შეადგენს შეფასებისათვის განსაზღვრული მაქსიმალური ქულის მინიმუმ 50%-ს, ანუ არანაკლებ 15 ქულას.

3.2. შემოქმედებითი სალექციო აქტივობა - შეფასების კრიტერიუმები
(მაქსიმუმ 30 ქულა)

შემოქმედებითი/სალექციო აქტივობა მოიცავს სტუდენტის მიერ სალექციო თემის საფუძველზე წარმოდგენილ ნამუშევარს, რომელიც აერთიანებს როგორც შემოქმედებით ინტერპრეტაციას, ასევე თეორიულ-ანალიტიკურ გააზრებას.

შეფასების ძირითადი კრიტერიუმები

I. პრაქტიკული შემოქმედებითი ნამუშევრის კონცეფციის ორიგინალურობა, ფორმისა და შინაარსის შესაბამისობა;
II. გამომსახველობითი საშუალებების გააზრებული გამოყენება;
III. თემის სიღრმისეული ანალიზი და შესაბამისი მასალის სტრუქტურული ორგანიზება;
IV. საკუთარი პოზიციის წარმოდგენისა და მისი არგუმენტირებულად დაცვის უნარი.
შეფასება ეფუძნება ქულათა ჯამურ სისტემას (მაქსიმუმ 30 ქულა) და უზრუნველყოფს როგორც შემოქმედებითი, ასევე აკადემიური კომპეტენციების ობიექტურ შეფასებას.

შემოქმედებითი/სალექციო აქტივობის ფორმატი შეიძლება განსხვავდებოდეს. მაგალითად, ერთ შეხვედრაზე შეფასდეს ნამუშევრის კონცეფციის ორიგინალურობა, ფორმისა და შინაარსის შესაბამისობა, ხოლო მომდევნო შეხვედრაზე — თემის სიღრმისეული გააზრება, არგუმენტირებული დასაბუთება და სხვა. შესაბამისად, შეფასება ეფუძნება სტუდენტის აქტიურ და შინაარსობრივ ჩართულობას კონკრეტული ფორმატის მოთხოვნების შესაბამისად.

შეფასების კრიტერიუმები:

2 ქულა - მაღალი ჩართულობა; კონცეფციის ორიგინალურობა და კრეატიულობა; განვითარებული ანალიტიკური და ინტერპრეტაციული უნარები; თეორიული ცოდნის პრაქტიკაში კრეატიულად გამოყენების უნარი; პრეზენტაციისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარი.

1.5 ქულა - აქტიური ჩართულობა; სალექციო-სტუდიურ მუშაობაში აქტიური მონაწილეობა; თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი; დამოუკიდებლობისა და ინიციატივის გამოვლენა.

1 ქულა - საშუალო ჩართულობა; სალექციო-სტუდიურ მუშაობაში არასტაბილური მონაწილეობა; ნაკლებად ორიგინალური და კრეატიული კონცეფცია; ფორმატის შესაბამისად მინიმალური მოთხოვნების შესრულება.

0.5 ქულა - მინიმალური ჩართულობა; შაბლონური და დაუმუშავებელი იდეა; ფორმისა და შინაარსის შეუსაბამობა; სალექციო-სტუდიურ მუშაობაში პასიური მონაწილეობა.

შემოქმედებითი/სალექციო აქტივობა ფასდება არა მხოლოდ რაოდენობრივი, არამედ შინაარსობრივი და შემოქმედებითი ჩართულობის მიხედვით და ითვალისწინებს სტუდენტის ადაპტირების უნარს სხვადასხვა სასწავლო ფორმატში.

3.3. დამოუკიდებელი მუშაობა - შეფასების კრიტერიუმები (მაქს. 25 ქულა)

დამოუკიდებელი მუშაობა მოიცავს წერით დავალებას, თეორიულ ნაშრომს, პრაქტიკულ შემოქმედებით პროექტს, პორტფოლიოს და სხვა მსგავს აქტივობებს.თითოეული დავალება ფასდება 5-ქულიანი სისტემით.

შეფასების კრიტერიუმები:

5–4 ქულა- შესრულებული ნამუშევარი გამოირჩევა სტუდენტის ინდივიდუალური ხედვითა და კრეატიულობით, პრაქტიკული მასალის შემოქმედებითი და ადეკვატური ორგანიზების უნარით, არგუმენტირებული ანალიზითა და დარგობრივი ტერმინოლოგიის სწორად გამოყენებით.

3–2 ქულა-ნამუშევარში შეინიშნება სტუდენტის ინდივიდუალური ხედვის ნიშნები; ნაწილობრივ ფლობს შემოქმედებითი პროექტის ორგანიზებისა და მართვის უნარს; დარგობრივ ტერმინოლოგიას იყენებს შეზღუდულად, ხოლო ანალიზი ნაკლებად არგუმენტირებულია.

1–0 ქულა-ნამუშევარი ვერ ავლენს სტუდენტის ინდივიდუალურ ხედვასა და შემოქმედებით მიდგომას; პრაქტიკული მასალის ორგანიზება არათანმიმდევრული და ფრაგმენტულია; ანალიზი ზედაპირულია ან საერთოდ არ არის წარმოდგენილი, ხოლო დარგობრივი ტერმინოლოგიის გამოყენება — არასწორი ან მინიმალურია.

3.4. შუალედური გამოცდა - შეფასების კრიტერიუმები (მაქს. 15 ქულა)

შეფასების კრიტერიუმები:

15–12 ქულა-სტუდენტი საკითხს ფლობს სიღრმისეულად; მასალა გადმოცემულია თანმიმდევრულად და ლაკონიურად. ტერმინოლოგია გამართული და აკადემიურად ზუსტია. ჩანს საკითხის თეოული ასპექტების ცოდნა და მისი ეფექტურად გამოყენების უნარი. სტუდენტს შეუძლია დამოუკიდებლად გადაწყვიტოს შემოქმედებითი ამოცანა და შექმნას საინტერესო, ორიგინალური ნამუშევარი.

11–9 ქულა-პასუხი სრულყოფილია, თუმცა ნაწილობრივ არათანმიმდევრული. ტერმინოლოგია მეტწილად გამართულია. სტუდენტი კარგად ფლობს საკითხს, არსებითი შეცდომები არ ფიქსირდება; შეუძლია დამოუკიდებლად გადაწყვიტოს შემოქმედებითი ამოცანა.

8–5 ქულა-სტუდენტს ათვისებული აქვს პროგრამით გათვალისწინებული მასალა და გადმოსცემს მას არსებითი შეცდომების გარეშე, თუმცა შეინიშნება ცალკეული ხარვეზები და მცირე უზუსტობები, მათ შორის შემოქმედებითი პროექტის შექმნის პროცესშიც.

4–1 ქულა-სტუდენტის პასუხი დამაკმაყოფილებელია, თუმცა ვერ ფლობს შესაბამის ტერმინოლოგიას; უჭირს დამოუკიდებლად შემოქმედებითი ამოცანების გადაწყვეტა.

0 ქულა-სტუდენტის პასუხი არადამაკმაყოფილებელია. იგი არ იცნობს შესაბამის ლიტერატურას, ვერ ფლობს სათანადო ტერმინოლოგიას, ვერ გადმოსცემს მასალას და ვერ ქმნის შემოქმედებით პროდუქტს.

3.5. ფინალური გამოცდა - შეფასების კრიტერიუმები (მაქს. 30 ქულა)

შეფასების კრიტერიუმები:

26–30 ქულა - სტუდენტი საკითხს ფლობს სიღრმისეულად; მასალა გადმოცემულია თანმიმდევრულად და ლაკონიურად. ტერმინოლოგია გამართული და აკადემიურად ზუსტია. ჩანს თეორიული მასალის ცოდნა და მისი პრაქტიკაში ეფექტურად გამოყენების უნარი. სტუდენტს შეუძლია დამოუკიდებლად გადაწყვიტოს შემოქმედებითი ამოცანა და შექმნას კრეატიული, საინტერესო და ორიგინალური ნამუშევარი.

21–25 ქულა - პასუხი სრულყოფილია, თუმცა ნაწილობრივ არათანმიმდევრული. ტერმინოლოგია მეტწილად გამართულია. სტუდენტი კარგად ფლობს საკითხს, არსებითი შეცდომები არ ფიქსირდება; შეუძლია დამოუკიდებლად გადაწყვიტოს შემოქმედებითი ამოცანა.

16–20 ქულა - სტუდენტს ათვისებული აქვს პროგრამით გათვალისწინებული მასალა და გადმოსცემს მას არსებითი შეცდომების გარეშე, თუმცა შეინიშნება ცალკეული ხარვეზები და მცირე უზუსტობები, მათ შორის შემოქმედებითი პროექტის შექმნის პროცესში.

10–15 ქულა - სტუდენტის პას უხი ავლენს საკითხის საშუალო დონის ცოდნას. პასუხი სრულყოფილი არ არის; აღინიშნება მცირე შეცდომები, ტერმინოლოგია ნაწილობრივ ნაკლოვანია. სტუდენტი ვერ ახერხებს დამოუკიდებლად შემოქმედებითი ამოცანის სრულფასოვნად გადაწყვეტას.

4–9 ქულა - სტუდენტის პასუხი ავლენს საკითხში ნაწილობრივ გარკვევას, თუმცა პასუხი ნაკლოვანია; ფიქსირდება შეცდომები და გადმოცემა არათანმიმდევრულია. შემოქმედებითი ამოცანის გადაწყვეტას ახერხებს მნიშვნელოვანი ხარვეზებით.

0–3 ქულა - სტუდენტის პასუხი არადამაკმაყოფილებელია. იგი ვერ ფლობს შესაბამის ტერმინოლოგიას; პასუხი არსებითად მცდარია; გადმოსცემს საკითხთან დაკავშირებული მასალის მხოლოდ ცალკეულ ფრაგმენტებს; არ იცნობს შესაბამის ლიტერატურას და ვერ ქმნის შემოქმედებით პროდუქტს.